



საჩუქრისაუბრო აუდიტი





სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სარეკომენდაციო წერილი

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
ხელმძღვანელობას**

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
2019 წლის კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების აუდიტი

29 დეკემბერი, 2020

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს
ბატონ ვახტანგ გომელაურს,

ბატონო ვახტანგ,

გაცნობებთ, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შედეგად გაიცა უარყოფითი დასკვნა.

აქვე ყურადღებას ვამახვილებთ, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინა პერიოდების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი არ ჩატარებულა და შესაბამისად, შესადარისი ფინანსური ანგარიშგება არ არის აუდირებული.

გასულ წლებში ჩატარებულია მხოლოდ სამინისტროს აპარატის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელზეც გაცემული იყო „პირობითი“ აუდიტორული მოსაზრება.

აღსანიშნავია, რომ აუდიტის მიგნებების ნაწილი ეხება ძველ პერიოდში წარმოშობილ სისტემურ საკითხებს და ძალოვანი უწყებებისთვის დამახასიათებელ სპეციფიკურ პრობლემა-გამოწვევებს.

აღსანიშნავია, რომ სამინისტროს მიერ ზემოაღნიშნული ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით მიმდინარეობს შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

აუდიტი ჩატარდა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად.

აუდიტის შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებების საპასუხოდ, წარმოგიდგენთ ჩვენს რეკომენდაციებს და ხელმძღვანელობისთვის მნიშვნელოვან სხვა ინფორმაციას.

პატივისცემით,

გენერალური აუდიტორი

ერეკლე მექვაბიშვილი

შინაარსი

ტერმინები და შემოკლებები.....	2
1 რეკომენდაციები.....	3
2 შიდა კონტროლის სისტემა.....	12
3 ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული კორექტირებები (შეუსწორებელი უზუსტობები).....	17
საკონტაქტო ინფორმაცია.....	19

ტერმინები და შემოკლებები

აგაი - ავტომატური გამართვისა და ავტომატური იდენტიფიცირების სისტემა

აპარატი – შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი

დაცვის პოლიციის დეპარტამენტი - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დაცვის პოლიციის დეპარტამენტი

თბილისის პოლიციის დეპარტამენტი - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტი

მომსახურების სააგენტო - საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო

სასაზღვრო პოლიცია - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს სასაზღვრო პოლიცია

საპატრულო პოლიცია - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური

საადრიცხო ინსტრუქცია – „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანება

სამინისტრო – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

სპეციფიკური დანიშნულების აქტივები - ანგარიშის მიზნებისთვის სპეციფიკური დანიშნულების აქტივები განხილულია, როგორც საბრძოლო მასალა, იარაღი, ტყვია-წამალი და სხვა მსგავსი ტიპის აქტივები.

1 რეკომენდაციები

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2019 წ. 31 დეკემბრის დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით¹

აქტივების და ვალდებულებების ინვენტარიზაცია

ფაქტობრივი გარემოება N1

სამინისტროს ბალანსზე 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ირიცხება 75,010,658 ლარის მოთხოვნები და 39,474,126 ლარის ვალდებულებები. აღნიშნული დავალიანებების მნიშვნელოვანი ნაწილი გასულ წლებს უკავშირდება და ექვემდებარება კომისიის მიერ საფუძვლიან შესწავლას, ანალიზს და მის საფუძველზე კანონმდებლობით გათვალისწინებულ რეაგირებას (მათ შორის ბალანსიდან ჩამოწერას).

მაგალითად:

აპარატის ბალანსზე 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ირიცხება სულ 14,838,954 ლარის დებიტორული დავალიანება, საიდანაც:

- ✓ დანაკლისის სახით რიცხული 5,080,623 ლარის მოთხოვნა წარმოქმნილია 2008 წლის საომარი მოქმედებების შედეგად.
- ✓ 140,425 ლარის დანაკლისზე² არ არის დადგენილი პასუხისმგებელი პირები.

სამინისტროს განმარტებით, აღნიშნული ნაკლოვანების გამოსასწორებლად, მიმდინარეობს შესაბამისი ღონისძიებები.

დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ბალანსზე, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ირიცხება 17,332,630 ლარის დებიტორული დავალიანება. აღნიშნული მოთხოვნებიდან აუდიტის პროცესში იდენტიფიცირებულია ისეთი დებიტორული დავალიანებები, რომლებიც გასულ პერიოდს უკავშირდება და საჭიროებს კომისიის მხრიდან დამატებით შესწავლას, რასთან დაკავშირებითაც, სამინისტროს განმარტებით მიმდინარეობს შესაბამისი ღონისძიებები, მაგალითად:

- ✓ 2019 წელს დებიტორის³ ლიკვიდაციისა და სამეწარმეო რეგისტრაციის გაუქმების გამო, 1,735,992 ლარის მოთხოვნა ექვემდებარებოდა ბალანსიდან ჩამოწერას;
- ✓ 2003 წლიდან შსს ცენტრალური აპარატის მიმართ რიცხულ 201,407 ლარის დავალიანებას აპარატი არ ადასტურებს, შესაბამისად არ არის აღიარებული კრედიტორულ დავალიანებად;
- ✓ სამშენებლო კომპანიის⁴ მიმართ არსებული 324,370 ლარის მოთხოვნის შესაბამისი სამუშაოები ფაქტობრივად შესრულებულია, თუმცა მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმებული არ არის;

¹ წინა პერიოდის აუდიტების შედეგად გაცემულ რეკომენდაციებზე რეაგირების შედეგები ასახულია "სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის სისტემაში" (<https://aris.sao.ge/>).

² N1356 „მოთხოვნები ფულადი სახსრების დანაკლისებით“ ანგარიშზე რიცხული თანხები, რომლებიც წარმოშობილია 2003 და 2006 წლებში.

³ შპს „ნიუ ენერჯის“ მიმართ 2012-2013 წლებში წარმოქმნილი მოთხოვნა - დაკავშირებულია დაცვის მომსახურებასთან.

⁴ შპს „სავანე“, დავალიანება წარმოქმნილია 2003 წელს.

- ✓ სხვადასხვა თანხობრივად შედარებით მცირე დებიტორული დავალიანებები, რომლებიც წარმოშობილია ძველ პერიოდში და ხანდაზმულია.

მომსახურების სააგენტოს ბალანსზე 2019 წლის 31 წლის მდგომარეობით ირიცხება 10,887,619 ლარის დებიტორული დავალიანება, საიდანაც დანაკლისის სახით რიცხული 437,432 ლარის მოთხოვნა, წარმოქმნილია 2008 წლის საომარი მოქმედებების შედეგად და წარმოადგენს ოკუპირებულ ტერიტორიაზე⁵ არსებული შენობის ღირებულებას.

გარდა აღნიშნულისა, აშშ-ს მთავრობიდან ძირითადი აქტივების გადმოცემის მიზნით, სააგენტოს მიერ ავანსის სახით გადახდილი თანხა, აღრიცხულია როგორც მოკლევადიანი მოთხოვნა, ნაცვლად გრძელვადიანი მოთხოვნისა.⁶ შედეგად, ორგანიზაციის ფორმა N1-ში „მოკლევადიანი მოთხოვნები“ გაზრდილად არის წარმოდგენილი 7,493,615 ლარით და იმავე თანხით შემცირებულია „გრძელვადიანი მოთხოვნების“ ნაშთი.

აღსანიშნავია, რომ სააგენტოს სრულყოფილად არ აქვს განხორციელებული მოთხოვნების ინვენტარიზაცია,⁷ რასთან დაკავშირებითაც, სამინისტროს განმარტებით მიმდინარეობს შესაბამისი სამუშაოები.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ბალანსზე 2019 წლის 31 წლის მდგომარეობით ირიცხება 13,977,523 ლარის დებიტორული დავალიანება, საიდანაც:

- ✓ 1,256,000 ლარის დავალიანება, რომელიც ირიცხება 1990 წლიდან, ექვემდებარება ბალანსიდან ჩამოწერას, ვინაიდან დებიტორი კომპანიები⁸ ლიკვიდირებულია და ფაქტობრივად არ არსებობენ;
- ✓ 510,338 ლარის დებიტორული დავალიანება⁹ დაკავშირებულია 1996-1999 წლებში გახარჯული მატერიალური რეზერვების შევსებასთან, რომლის დასაფარად არ მოხდა ბიუჯეტიდან რესურსის გამოყოფა;
- ✓ 1994 წელს წარმოშობილი 467,234 ლარის დავალიანების¹⁰ საკითხი შესაბამისი უწყებების მიერ არ იყო გადაწყვეტილი და დავალიანებაც არ არის დაფარული; 75,049 ლარის ღირებულების საგადასახადო აქტივების სახით რიცხული მოთხოვნა არ დასტურდება საგადასახადო აღრიცხვის ბარათით;
- ✓ 63,925 ლარის ღირებულების დავალიანებაზე,¹¹ რომელიც წარმოშობილია 1994 წლიდან, აღძრული სისხლის სამართლის საქმე შეწყდა ბრალდებულის გარდაცვალების გამო;

⁵ სოფელი ხეითი

⁶ წერ N: ECJ5-GG-19-060 - მათი დაფარვა მოსალოდნელია ანგარიშგების თარიღიდან სამი წლის შემდეგ;

⁷ შედარების აქტები გაფორმებული აქვს „მოთხოვნები ფულად სახსრებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით“ (N1355) ანგარიშზე რიცხულ დებიტორებთან;

⁸ ბათუმის თამბაქოს ფაბრიკა, სს "რუსთავის ქიმიოჭკო".

⁹ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

¹⁰ დებიტორი-საქართველოს ეკონომიკის განვითარების სამინისტრო.

¹¹ საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების გორის სასწავლო საწარმო.

- ✓ 20,302 ლარის ღირებულების მოთხოვნები ირიცხება ლიკვიდირებულ ორგანიზაციებზე¹², ხოლო 10,058 ლარის დებიტორულ დავალიანებაზე დოკუმენტაცია არ იძებნება.¹³

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2,402,906 ლარის დავალიანებების დაფარვის ალბათობა, მათი ხანდაზმულობის გათვალისწინებით, დაბალია.

აღსანიშნავია, რომ ნაკლოვანების აღმოსაფხვრელად სააგენტოში მიმდინარეობს სამუშაოები და საინვენტარიზაციო კომისიის სხდომის ოქმის მიხედვით¹⁴, შემუშავებულია დებიტორული დავალიანებების განკარგვასთან დაკავშირებული შემდგომი ღონისძიებები.

სასაზღვრო პოლიციის ბალანსზე 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ირიცხება 10,111,743 ლარის დებიტორული დავალიანება, საიდანაც:

- ✓ 1,274,854 ლარის დანაკლისი წარმოქმნილია 2008 წლის საომარი მოქმედებების შედეგად.
- ✓ სასაზღვრო პოლიციის მიერ 2008 წელს ავანსის სახით ბიუჯეტში გადახდილი 500,000 ლარის მოთხოვნას¹⁵ არ ადასტურებს შემოსავლების სამსახური.
- ✓ 2007 წელს წარმოშობილ 758,987 ლარის დავალიანებაზე¹⁶ სასამართლოს 2018 წლის გადაწყვეტილების საფუძველზე, სასაზღვრო პოლიციას უარი ეთქვა საჩივრის დაკმაყოფილებაზე.
- ✓ 134,825 ლარის მოთხოვნების¹⁷ წარმოშობის დოკუმენტაცია ორგანიზაციაში არ იძებნება.

საგულისხმოა, რომ სასაზღვრო პოლიციაში შექმნილია მოთხოვნა-ვალდებულებების შემსწავლელი კომისია და მიმდინარეობს შესაბამისი ღონისძიებები.

გარდა ზემოაღნიშნულისა, აშშ-ს მთავრობის მიერ ძირითადი აქტივების გადმოცემის მიზნით, სასაზღვრო პოლიციის მიერ ავანსის სახით გადახდილი თანხები წარმოადგენს გრძელვადიან მოთხოვნას, ნაცვლად მოკლევადიანისა.¹⁸ შედეგად, ორგანიზაციის ფორმა N1-ში „მოკლევადიანი მოთხოვნები“ გაზრდილად არის ნაჩვენები 4,850,741 ლარით და იმავე თანხით შემცირებულია „გრძელვადიანი მოთხოვნების“ ნაშთი.

¹² მეტეხის ნავთობაზა, „ცეკავშირის“ ქუთაისის საწარმოო კომბინატი“.

¹³ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.

¹⁴ სააგენტოს 2020 წლის 23 ივლისის საინვენტარიზაციო კომისიის ოქმი; „მუდმივმოქმედი საინვენტარიზაციო კომისიის შექმნის შესახებ ბრძანება“. სააგენტოს უფროსის 2019 წლის 17 ივნისის ბრძანება N MIA 01566141.

¹⁵ მოთხოვნა წარმოქმნილია 2008 წელს და ორგანიზაციის საგადასახადო აღრიცხვის ბარათზე ავანსის თანხის არსებობა არ დასტურდება.

¹⁶ შპს „ფირმა 89“

¹⁷ სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის N1 სამმართველო

¹⁸ წერ N: ECJ5-GG-19-060

ფაქტობრივი გარემოება N2

სამინისტროს ბალანსზე 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ირიცხება 39,474,126 ლარის ვალდებულებები. სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებში ვალდებულებებთან მიმართებით გამოვლინდა სხვადასხვა ნაკლოვანება, კერძოდ:

დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ბალანსზე, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რიცხული 5,650,651 კრედიტორული დავალიანებიდან, წლის ბოლოს, გადასახდელი და გადახდილი დღგ-ის თანხების შედარების განუხორციელებლობის გამო, დეპარტამენტის ფორმა N1-ში „მოთხოვნების“ და „ვალდებულებების“ საბოლოო ნაშთები 211,583 ლარით გაზრდილად არის წარმოდგენილი. ბალანსზე ირიცხება ვალდებულებები წინასწარ მიღებული თანხებით (ავანსი) და სხვადასხვა საბიუჯეტო მუხლით წარმოქმნილი კრედიტორული დავალიანებები, რომლებიც ხანდაზმულობის გათვალისწინებით, საინვენტარიზაციო კომისიის მიერ საჭიროებს დამატებით შესწავლას. სამინისტროს განმარტებით, აღნიშნული ხარვეზის აღმოსაფხვრელად, მიმდინარეობს შესაბამისი ღონისძიებები.

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ბალანსზე, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ირიცხებოდა 1,470,703 ლარის კრედიტორული დავალიანება, საიდანაც 1998 – 2005 წლებში წარმოქმნილი 1,467,623 ლარის სახელფასო დავალიანების რეალურობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ორგანიზაციაში არ მოიპოვება. აღსანიშნავია, რომ დეპარტამენტს დაწყებული აქვს ღონისძიებების გატარება აღნიშნული დავალიანების ნაშთების რეალურობის დადგენის მიზნით.

სასაზღვრო პოლიციის ბალანსზე რიცხული 3,225,775 ვალდებულებებიდან, 3,158,068 ლარის დავალიანება (98%) მომდინარეობს 1996-2005 წლებიდან, საიდანაც 344,595 ლარის დავალიანების¹⁹ წარმოშობის დოკუმენტაცია ორგანიზაციაში არ იძებნება. ბალანსზე ირიცხება საქონელი/მომსახურების მუხლით შესყიდვებთან დაკავშირებული სხვადასხვა დავალიანება, რომლებიც ხანდაზმულობის გათვალისწინებით, საჭიროებს საინვენტარიზაციო კომისიის მიერ დამატებით შესწავლას მათი დაფარვის ალბათობის შეფასების მიზნით. საგულისხმოა, რომ 2019 წელს სასაზღვრო პოლიციის უფროსის ბრძანების²⁰ საფუძველზე, ორგანიზაციაში შეიქმნა მოთხოვნა-ვალდებულებების შემსწავლელი კომისია, რომელიც ახორციელებს სამუშაოებს ნაშთების რეალურობის დასადგენად, თუმცა პროცესი არ დასრულებულა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტროს კონსოლიდირებულ ფორმა N1-ში დებიტორული დავალიანების (საწყისი ნაშთი - 82,444,466 ლარი, საბოლოო ნაშთი - 75,010,658 ლარი) და კრედიტორული დავალიანების (საწყისი ნაშთი - 37,656,141 ლარი, საბოლოო ნაშთი - 39,474,126 ლარი) ნაშთები არ ასახავს მათ რეალურ ოდენობას, რაც არსებით გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

¹⁹ ვალდებულებები დეპონენტების მიმართ, შტატით მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები და სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის N1 სამმართველოს ბალანსზე რიცხული სხვადასხვა დავალიანებები.

²⁰ N00038

ფაქტობრივი გარემოება N3

სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებში ინვენტარიზაციის პროცესი ნაკლოვანებებით ხასიათდება, კერძოდ:

- ✓ **აპარატში** არასრულყოფილად ხორციელდება არაფინანსური აქტივების ინვენტარიზაცია.
- ✓ **საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში** არაფინანსური აქტივების ინვენტარიზაციის პროცესი 2019 წელს არ დასრულებულა.
- ✓ **სასაზღვრო პოლიციაში** მოთხოვნა-ვალდებულებების ინვენტარიზაციის პროცესი 2019 წელს არ დასრულებულა.
- ✓ **საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში** ძირითადი აქტივების და მოთხოვნა-ვალდებულებების ინვენტარიზაცია 2019 წელს არ ჩატარებულა²¹.
- ✓ **მომსახურების სააგენტოში** მოთხოვნა-ვალდებულებების ინვენტარიზაცია სრულყოფილად არ განხორციელდა.
- ✓ **დაცვის პოლიციის დეპარტამენტში**, დავალიანებების ხანდაზმულობის გათვალისწინებით, არ იყო მომზადებული დასკვნა დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების ჩამოწერაზე ხელმძღვანელის მიერ გადაწყვეტილების მისაღებად.

ფაქტობრივი გარემოება N4

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ბალანსზე, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ირიცხება 6,644,050 ლარის მატერიალური მარაგები, რომლის არსებობაზეც ვერ მივიღეთ სათანადო რწმუნება, კერძოდ:

სამსახურში 2019 წელს განხორციელებული ინვენტარიზაციის შედეგების მიხედვით, დაფიქსირებულია არაფინანსური აქტივების დანაკლისი და ზედმეტობა, მაგალითად:

- ✓ ჰუმანიტარული დახმარების სტატუსის მქონე მარაგების²² 107,981 ლარის დანაკლისი და 219,476 ლარის ზედმეტობა.
- ✓ თბილისში არსებული N1 საწყობის ინვენტარიზაციის შედეგების აქტით გამოვლინდა 943,970 ლარის დანაკლისი და 571,304 ლარის ზედმეტობა. ზედმეტობის სახით გამოვლენილი ქონება, შეფასების და შესაბამისი ღირებულებით ბალანსში ასახვის მიზნით, გაგზავნილია სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკურ დეპარტამენტში.
- ✓ სამსახურის ბალანსზე, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ირიცხება 1,346,863 ლარის გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები, რომელიც ინვენტარიზაციის არასრულყოფილად ჩატარების გამო, შესაძლოა არ ასახვდეს რეალურად რიცხულ ნაშთებს.

ვინაიდან, სრული ქონების ინვენტარიზაციის პროცესი დასრულებული არ არის, არსებობს იმის ალბათობა, რომ საწყობების დანაკლისად გამოვლენილი ქონება მოძიებულ იქნას სამსახურის სხვადასხვა დანაყოფებში, ან გამოვლინდეს სხვა ზედმეტობა/დანაკლისიც. შესაბამისად,

²¹ გამონაკლისს წარმოადგენს უძრავი ქონების სავალდებულო ინვენტარიზაცია, რომელიც განხორციელდა 2017 წელს და მისი ჩატარება სავალდებულოა 3 წელიწადში ერთხელ მაინც.

²² 2017 წელს დონორი ორგანიზაციების მიერ გადმოცემული სხვადასხვა საწვავი ქონება

ძირითადი აქტივების, გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების და მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციით გამოვლენილი შედეგების აღიარება და ბუღალტრული ნაშთების კორექტირება განხორციელდება პროცესის დასრულების შემდგომ.

მიზეზი

ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ინვენტარიზაციის განუხორციელებლობა; ინვენტარიზაციის ჩასატარებლად საკმარისი საკადრო რესურსის არარსებობა; დებიტორ-კრედიტორებთან სათანადო კომუნიკაციის ნაკლებობა; პირველადი დოკუმენტების არარსებობა.

გავლენა

აქტივების და ვალდებულებების ინვენტარიზაციის სრულყოფილად განხორციელება მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენისთვის, შიდა კონტროლის გასაუმჯობესებლად და აქტივების დაცულობის უზრუნველსაყოფად.

არ არის მომზადებული კომისიების დასკვნები კანონმდებლობით გათვალისწინებული რეაგირებისა და დავალიანებების ჩამოწერის მიზანშეწონილობის თაობაზე. შესაბამისად, არ არის გადაწყვეტილი საცნობარო მუხლზე დავალიანებების გადატანის საკითხი. აქტივების და ვალდებულებების ნაშთი არ ასახავს მათ რეალურ ოდენობას.

რეკომენდაცია

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენისა და კონტროლის გარემოს გაუმჯობესების მიზნით:

- ✓ სამინისტროს ყველა დაქვემდებარებულმა უწყებამ ყოველწლიურად შექმნან საინვენტარიზაციო კომისიები და უზრუნველყონ არაფინანსური აქტივების ფაქტობრივი ნაშთების შემოწმება, მოთხოვნა-ვალდებულებების რეალურობის შესწავლა და მათზე კანონმდებლობით გათვალისწინებული რეაგირება.
- ✓ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა ინვენტარიზაციის შედეგები ასახოს შესაბამისი წლის ფინანსურ ანგარიშგებაში, ხოლო დანაკლისად რიცხულ აქტივებზე ინვენტარიზაციის მასალები მიაწოდოს სამართალდამცავ ორგანოებს.

კომპონენტ(ებ)ი რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად

სამინისტრო და შესაბამისი კომპონენტები

გამოუყენებელი ქონება

ფაქტობრივი გარემოება N1

სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების ბალანსზე ირიცხება მატერიალური მარაგები, რომლებიც არ გამოიყენება, ხმარებიდან ამოღებულია და მათგან ეკონომიკური სარგებლის მიღება არ არის მოსალოდნელი. კერძოდ:

აპარატის, დაცვის პოლიციის, საპატრულო პოლიციის, თბილისის პოლიციის და სასაზღვრო პოლიციის ბალანსებზე, 2019 წლის საწყის და

საბოლოო ნაშთად უცვლელად ირიცხებოდა შესაბამისად 10,705 ლარის²³, 1,066,907 ლარის, 213,116 ლარის, 74,889 ლარის და 519,560 ლარის ღირებულების მატერიალური მარაგები,²⁴ რომლებიც შემდგომი ექსპლუატაციისთვის გამოუსადეგარია.

შედეგად, სამინისტროს ფორმა N1-ში 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „მატერიალური მარაგების“ ანგარიშზე ირიცხება 1,885,177 ლარის ქონება, რომელთა შემდგომი გამოყენების და სარგებლის მიღების ალბათობა დაბალია. სამინისტროში მიმდინარეობს ღონისძიებები აქტივების შემდგომი განკარგვის მიზნით.

ფაქტობრივი გარემოება N2

დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ბალანსზე 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „ძირითადი აქტივად“ ირიცხება შენობა-ნაგებობაზე²⁵ კაპიტალიზირებული 293,139 ლარის საპროექტო სამუშაოები, რომლისგანაც სარგებლის მიღება არ არის მოსალოდნელი, ვინაიდან უძრავი ქონებით დეპარტამენტი არ სარგებლობს.

სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტს 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „ძირითადი აქტივად“ ირიცხება 2,673,009 ლარის საბალანსო ღირებულების საშუალებები, რომელთა შემდგომი გამოყენება არ არის მოსალოდნელი, ვინაიდან ისინი ტექნიკურად გაუმართავ მდგომარეობაშია და მათი ექსპლუატაცია ტექნიკური თვალსაზრისით მიზანშეწონილი არ არის²⁶. სასაზღვრო პოლიციის ცენტრალურ აპარატში 2019 წელს განხორციელებული ინვენტარიზაციით გამოვლინდა ექსპლუატაციისთვის გამოუსადეგარი 171,800 ლარის საბალანსო ღირებულების მანქანა-დანადგარები. აღსანიშნავია, რომ ორგანიზაციაში დაწყებულია აქტივების ჩამოწერის და შემდგომი განკარგვის ღონისძიებები.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ბალანსზე 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, დაუმთავრებელი მშენებლობის სახით ირიცხებოდა 2,959,558 ლარის ქონება, რომელიც 2019 წელს ჩატარებული ინვენტარიზაციის საფუძველზე აღიარდა დანაკლისად. მშენებლობა დაიწყო 1990-იან წლებში, თუმცა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის საკუთრების/სარგებლობის უფლება საჯარო რეესტრში რეგისტრირებული არ არის. ქონების ეროვნული სააგენტოს წერილებით დასტურდება ქონების კერძო/სახელმწიფო საკუთრება. აღნიშნული ქონებებით სსიპ-სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტო არ სარგებლობდა და ვერ აკონტროლებდა აღნიშნულ აქტივს, შესაბამისად, „ძირითადი აქტივების“ საწყისი ნაშთი 2,959,558 ლარით გაზრდილად არის წარმოდგენილი.

²³ ავტომატური რეცხვის ტალონები - მიმწოდებელი ადარ ფლობს სამრეცხაო პუნქტებს, კომპანიასთან მიმდინარეობს სასამართლო დავა, შესაბამისად აქტივი პირობით აღრიცხვას ექვემდებარება;

²⁴ შეცვლილი დიზაინის გამო ხმარებიდან ამოღებული უნიფორმები, მოძველებული ტექნიკა, კარტრიჯები და სხვა;

²⁵ ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. N72 - შენობა გადაეცა სხვა სახელმწიფო უწყებას;

²⁶ აღნიშნულს ადასტურებს ექსპერტიზის დასკვნა.;

მიზეზი

არ არის დანერგილი სათანადო კონტროლის მექანიზმები, რათა დროულად მოხდეს ისეთი აქტივების გამოვლენა, რომელთა გამოყენება და მომავალი ეკონომიკური სარგებლის/მომსახურების პოტენციალის მიღება არ არის მოსალოდნელი.

გავლენა

ქონების შემდგომი გამოყენების და სარგებლის მიღების ალბათობა დაბალია, აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში გაზრდილად არის წარმოდგენილი.

რეკომენდაცია

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის და აქტივების ეფექტიანი მართვის მიზნით, სამინისტრომ უზრუნველყოს კონტროლი მომავალი გამოყენებისთვის უსარგებლო აქტივების გამოვლენაზე, უზრუნველყოს ექსპლუატაციისთვის გამოუსადეგარი ქონების ჩამოწერა, ხოლო ექსპლუატაციისთვის ვარგის ქონებასთან დაკავშირებით, შეაფასოს მათი შემდგომი განკარგვის საუკეთესო ალტერნატივები.

კომპონენტ(ებ)ი რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად

სამინისტრო და შესაბამისი კომპონენტები

ნულოვანი ღირებულებით აღრიცხული ქონება**ფაქტობრივი გარემოება N1**

ძალოვანი უწყებებისთვის დამახასიათებელ ნაკლოვანებას წარმოადგენს სპეციფიკური დანიშნულების აქტივების²⁷ ღირებულების გარეშე აღრიცხვა.

აპარატს სხვადასხვა დასახელების სპეციფიკური დანიშნულების აქტივები აღრიცხული აქვს საცნობარო მუხლებში ღირებულების გარეშე. გახარჯული მარაგების შესახებ ინფორმაცია ბუღალტერიას მიეწოდება მათი დასახელების და რაოდენობის მითითებით.

სასაზღვრო პოლიციის ბალანსზე ირიცხება სხვადასხვა დასახელების სპეციფიკური დანიშნულების აქტივები და სათანადო ნაწილები, რომლებიც ნულოვანი ღირებულებითაა ასახული, რის გამოც მატერიალური მარაგების ნაშთი არ ასახავს მათ რეალურ ოდენობას.

ფაქტობრივი გარემოება N2

აპარატში 2018 წელს განხორციელებული ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი აღურიცხავი შენობა-ნაგებობების ნაწილი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სამინისტროს ბალანსზე ირიცხება ნულოვანი ღირებულებით, ვინაიდან სამინისტროს განმარტებით, ქონების შეფასების სამუშაოები მიმდინარეობს ეტაპობრივად და დიდი მოცულობის გამო, პროცესი გარკვეულ დროს მოითხოვს.

სასაზღვრო პოლიციის მიერ 9 ერთეული ძირითადი აქტივი, ღირებულების გარეშეა აღრიცხული.

მიზეზი

აქტივების სიმრავლე და შეფასებასთან დაკავშირებული სირთულეები, არასაკმარისი ფინანსური რესურსები.

²⁷ იარაღი, ტყვია-წამალი

გავლენა სამინისტროს ბალანსზე მატერიალური მარაგების და ძირითადი აქტივების ნაშთი შემცირებულად არის წარმოდგენილი.

რეკომენდაცია ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, მნიშვნელოვანია სამინისტრომ შეიმუშაოს რაოდენობრივად აღრიცხული სხვადასხვა სპეცტეკნიკისა და საბრძოლო მასალის ღირებულების განსაზღვრის კრიტერიუმები და აქტივები შესაბამისი ღირებულებით აისახოს ფინანსურ ანგარიშგებაში.

კომპონენტ(ებ)ი რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად სამინისტრო; სასაზღვრო პოლიცია

ძირითადი აქტივების ცვეთა

ფაქტობრივი გარემოება N1 სამინისტროს სისტემაში ბალანსზე რიცხულ სპეციფიკური დანიშნულების აქტივებს (იარაღს) ცვეთა არ ერიცხება იმის გამო, რომ მარეგულირებელი ნორმებით და სამინისტროს ინიციატივით შესაბამისი კოეფიციენტი დადგენილი არ არის. აღსანიშნავია, რომ საკითხი ძალოვანი უწყებებისთვის დამახასიათებელ პრობლემას წარმოადგენს.

სასაზღვრო პოლიციის ბალანსზე ირიცხებოდა 2,327,241 ლარის საბალანსო ღირებულების ძრავები, რომლებზეც კოეფიციენტის განუსაზღვრელობის გამო, არ იყო დარიცხული ცვეთა.

მიზეზი კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული ამორტიზაციის კოეფიციენტი, სირთულეს წარმოადგენს ერთგვაროვან (ანალოგიურ) ძირითად აქტივებზე არსებული ცვეთის ნორმების გამოყენება.

გავლენა ცვეთის დარიცხვასთან დაკავშირებული ნაკლოვანებების გამო, ძირითადი აქტივების ნაშთი არასწორადაა წარმოდგენილი.

რეკომენდაცია ფინანსური ანგარიშგების უტყუარი და სამართლიანი წარდგენის უზრუნველყოფის მიზნით, სამინისტრომ შეიმუშაოს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დასამტკიცებლად წარუდგინოს მის ბალანსზე რიცხული ისეთი ქონების ცვეთის ნორმების პროექტი, რომელთა მიმართ შეუძლებელი ან მიზანშეუწონელია ცვეთის ერთგვაროვანი ნორმების გამოყენება.

კომპონენტ(ებ)ი რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად სამინისტრო, სასაზღვრო პოლიცია

2 შიდა კონტროლის სისტემა

სააღრიცხვო სისტემა

დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ცენტრალური აპარატის და რეგიონული სამმართველოების ბუღალტრულ ჩანაწერებში, მოთხოვნა-ვალდებულებების ურთიერთგადაფარვის²⁸, აქტივების და ვალდებულებების ანგარიშზე დაფიქსირებული უარყოფითი ნაშთების, სინთეზურ და ანალიზურ ანგარიშებზე ბრუნვებს და ნაშთებს შორის სხვაობის გამო, ბუღალტრული ინფორმაცია შეიცავს უზუსტობებს. შედეგად, იზრდება ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას აღსაზრუნავი ინფორმაციის სისრულესთან და სისწორესთან დაკავშირებული რისკები.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში არ არის დანერგილი საწყობის სპეციალიზებული პროგრამა, რაც ზრდის ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული შეცდომების, ასევე ინფორმაციის დაცვასთან და შენახვასთან დაკავშირებულ რისკებს. საგულისხმოა, რომ სამსახურს დაწყებული აქვს ღონისძიებები აღნიშნული ხარვეზის აღმოსაფხვრელად.

სასაზღვრო პოლიციაში მატერიალური მარაგები და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები აღრიცხულია საწყობის მართვის ელექტრონულ სისტემაში, ხოლო ბუღალტრულად ანალიზური აღრიცხვა სპეციალიზებული აღრიცხვის სისტემის ნაცვლად, წარმოებს Microsoft Excel-ის გამოყენებით, რაც ზრდის ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული შეცდომების, ასევე ინფორმაციის დაცვასთან და შენახვასთან დაკავშირებულ რისკებს.

რეკომენდაცია

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესთან დაკავშირებული შიდა კონტროლის სრულყოფის მიზნით:

- ✓ დაცვის პოლიციის დეპარტამენტმა აღმოფხვრას აღრიცხვის მონაცემებში არსებული უზუსტობები და ბუღალტრული ინფორმაცია შესაბამისობაში მოიყვანოს აღრიცხვის ინსტრუქციასთან;
- ✓ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა დანერგოს საწყობის სპეციალიზებული პროგრამა;
- ✓ სასაზღვრო პოლიციამ მატერიალური მარაგების და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების ანალიზური აღრიცხვა აწარმოოს ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამული უზრუნველყოფით.

კომპონენტ(ებ)ი რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად

დაცვის პოლიციის დეპარტამენტი, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური, სასაზღვრო პოლიცია

²⁸ N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, აქტივებისა და ვალდებულებების ან ხარჯებისა და შემოსავლების ურთიერთგადაფარვა დაუშვებელია

სტრატეგიული მარაგები

მოქმედი კანონმდებლობით²⁹, განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ობიექტების, აგრეთვე სახელმწიფო რეზერვის სისტემაში დასაგროვებელი მატერიალური ფასეულობების ნუსხას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

სახელმწიფო რეზერვის სისტემის მართვა, ამ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება წარმოადგენს **საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის** განსაკუთრებულ კომპეტენციას. სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შექმნას, შენახვას და მართვასთან დაკავშირებულ სხვა ოპერაციებს ახორციელებს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ-სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტო.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ არ არის განსაზღვრული მატერიალური ფასეულობების ნომენკლატურა და მატერიალური რეზერვების სახელმწიფო პოლიტიკა, რომლის შემუშავება და რეზერვების შევსება მნიშვნელოვანია საქართველოს სამოხილიზაციო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში მიმდინარეობს მუშაობა მატერიალური რეზერვების სახელმწიფო პოლიტიკის შესამუშავებლად.

რეკომენდაცია

საქართველოს სამოხილიზაციო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ-სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტომ შეიმუშავოს სახელმწიფო რეზერვის სისტემისთვის აუცილებელი მატერიალური ფასეულობების ნუსხა და მატერიალური რეზერვების სახელმწიფო პოლიტიკა.

კომპონენტ(ებ)ი რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ-სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტო

გამოუყენებელი ძირითადი აქტივები

სასაზღვრო პოლიციის ბალანსზე 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ირიცხება 8 ერთეული³⁰ 9,012,224 ლარის საბალანსო ღირებულების აქტივები, რომლებიც ორგანიზაციის განმარტებით, მოძველებული და ტექნიკურად გაუმართავია³¹ და აქტივები ხანდაზმულობიდან გამომდინარე საჭიროებენ კაპიტალურ რემონტს.

მომსახურების სააგენტოს ბალანსზე 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ირიცხება 70 ერთეული 1,679,687 ლარის ავტომობილი მათზე დამონტაჟებული 259,489 ლარის საგამოცდო სისტემებით, რომლებიც არ არის ექსპლუატაციაში შესული. აღნიშნული აქტივები შესყიდულია 2017 წელს მართვის მოწმობის გამოცდების ქალაქის რეალურ პირობებში ჩატარების მიზნით. ვინაიდან, ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში არ იყო დასრულებული საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და საჭირო იყო მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილებები სხვადასხვა კანონებში, პროექტი დროულად ვერ განხორციელდა.

²⁹ საქართველოს კანონი საქართველოს სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შესახებ;

³⁰ მათ შორის, 2 ერთეული 2020 წელს გადაცემულია თავდაცვის სამინისტროზე;

³¹ რაც ასახულია ინვენტარიზაციის შედეგებში;

შესაბამისად, სააგენტო 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძირითადი აქტივებისგან ვერ იღებდა ეკონომიკურ სარგებელს/მომსახურების პოტენციალს.

სააგენტოს განმარტებით, 2020 წლის ბოლომდე დაგეგმილია ქონების ნაწილის გამოყენება, ხოლო დარჩენილი ავტომატური 2021 წლის განმავლობაში, ეტაპობრივად, სრულად შევა ექსპლუატაციაში.

რეკომენდაცია

სახელმწიფო ქონების ეფექტიანი განკარგვის მიზნით მნიშვნელოვანია:

- ✓ სასაზღვრო პოლიციამ ხარჯთსარგებლიანობის ანალიზის საფუძველზე უზრუნველყოს ძირითადი აქტივების გამოყენებისგან მისაღები სარგებლის საუკეთესო ალტერნატივების შეფასება;
- ✓ მომსახურების სააგენტომ დროულად გადაჭრას საგამოცდო დანიშნულების ავტომატური ექსპლუატაციაში შეყვანასთან დაკავშირებული საკითხები, მიღებული შედეგების მიხედვით, უზრუნველყოს ძირითადი აქტივების გამოყენებისგან მისაღები სარგებლის საუკეთესო ალტერნატივების შეფასება.

კომპონენტ(ებ)ი რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად

სასაზღვრო პოლიცია, მომსახურების სააგენტო

სააღრიცხვო პოლიტიკის არარსებობა

მაღოვანი უწყებებისთვის დამახასიათებელ ნაკლოვანებას წარმოადგენს სპეციფიკური დანიშნულების აქტივების ღირებულების გარეშე აღრიცხვა. ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის და საქმიანობის შედეგების შესახებ სრული და უტყუარი ინფორმაციის მომზადების მიზნით, მნიშვნელოვანია სამინისტრომ შეიმუშაოს რაოდენობრივად აღრიცხული სხვადასხვა სპეცტექნიკისა და მასალების ღირებულების განსაზღვრის კრიტერიუმები, აგრეთვე „ძირითადი აქტივების“ მუხლზე რიცხული სპეციფიკური დანიშნულების აქტივების ცვეთის პოლიტიკა.

სასაზღვრო პოლიციაში არ არის ჩამოყალიბებული მატერიალური მარაგების ჩამოწერასთან დაკავშირებული სააღრიცხვო პოლიტიკა. მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაცია ახორციელებს კონტროლს გახარჯულ და ფაქტობრივად არსებულ ნაშთებზე, მატერიალური მარაგები საწყობიდან გასვლისას ჩამოიწერება პირდაპირ ხარჯებში და არ ხდება მათი აღრიცხვა ანგარიშვალდებულ პირზე ან მარაგების სახით.

დაცვის პოლიციის დეპარტამენტს არ აქვს შემუშავებული ობიექტების დაცვის განხორციელების მიზნით დამკვეთებისთვის მოწყობილობების დროებით სარგებლობაში გადაცემის სააღრიცხვო პოლიტიკა.

სამინისტროში არ არის დანერგილი ერთგვაროვანი პრაქტიკა აგაი სისტემით შესყიდული საწვავის ჩამოწერასთან დაკავშირებით. აპარატის, სასაზღვრო პოლიციის, თბილისის პოლიციის დეპარტამენტის, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიერ 2019 წლის ხარჯად აღიარებულია 2018 წლის დეკემბრის თვის ხარჯი, ხოლო 2019 წლის დეკემბრის ხარჯი ასახულია 2020 წელს, მაშინ როდესაც დაცვის პოლიციის დეპარტამენტის და მომსახურების სააგენტოს მიერ 2019 წლის

დეკემბერში პლასტიკური ბარათით შესყიდული საწვავი მიკუთვნებულია 2019 წლის პერიოდს და აღიარებულია ვალდებულება საწვავის მიმწოდებელი კომპანიების მიმართ.

რეკომენდაცია

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, სამინისტრომ შეიმუშავოს საწვავის და მატერიალური მარაგების ხარჯად აღიარების და მარაგების დროებით სარგებლობაში გადაცემის სააღრიცხვო პოლიტიკა.

კომპონენტ(ებ)ი რომლებზეც

გაიცა რეკომენდაცია

შესასრულებლად

სამინისტრო

დადგენილზე მეტი ოდენობით გაცემული პრემია და დანამატი

„საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით³², საჯარო დაწესებულებაში დასაქმებული პირის მიერ წლის განმავლობაში მიღებული **ფულადი ჯილდოს** საერთო ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ პირის მიერ დაკავებული თანამდებობის/პოზიციის თანამდებობრივი სარგოს წლიური ოდენობის 10%-ს, ხოლო **სახელფასო დანამატის** საერთო ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ პირის მიერ დაკავებული თანამდებობის/პოზიციის თანამდებობრივი სარგოს წლიური ოდენობის 20%-ს. ამასთან, აღნიშნული შეზღუდვა არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე³³, როდესაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის სამხედრო ან სპეციალური წოდების მქონე პირის მიერ დამატებითი ანაზღაურების მისაღებად დასაკმაყოფილებელი კრიტერიუმები (მათ შორის, ნამსახურები წლები) და დანამატის ოდენობა განსაზღვრულია შესაბამისი ნორმატიული აქტით ან/და „საიდუმლო“ გრიფის მქონე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.³⁴

სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებში, რამდენიმე შემთხვევაში ზემოაღნიშნული ზღვრები დაცული არ არის.³⁵

მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნული ნაკლოვანებები არ არის მატერიალურად არსებითი და სისტემური ხასიათის, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვის მიზნით, მნიშვნელოვანია სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებში შესაბამისი კონტროლის გარემოს შენარჩუნება და დადგენილი ზღვრების მონიტორინგი. სამინისტროს განმარტებით, პროგრამულ უზრუნველყოფას დაემატა ახალი მოდული, რომელიც უზრუნველყოფს შრომის ანაზღაურებისთვის განსაზღვრული ზღვრების კონტროლს.

³² 28-ე მუხლი;

³³ 1-ლი მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი;

³⁴ „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის სამხედრო ან სპეციალური წოდების მქონე პირისთვის სახელფასო დანამატი შეიძლება დამატებით გაიცეს ამ კანონის 28-ე მუხლით დადგენილი ფულადი ჯილდოს ზღვრული ოდენობის ფარგლებში, იმ პირობით, რომ შესაბამისი პირის მიერ მიღებული სახელფასო დანამატი და ფულადი ჯილდო ჯამურად ამ კანონის 26-ე და 28-ე მუხლებით დადგენილ ზღვრულ ოდენობას არ გადააჭარბებს;

³⁵ სამინისტროს დაქვემდებარებული უწყებებიდან, აპარატის, დაცვის პოლიციის და თბილისის პოლიციის დეპარტამენტის მიერ 33 თანამშრომელზე გაცემულმა პრემიამ სულ 6,266 ლარით გადააჭარბა დადგენილ ზღვარს. დაცვის პოლიციის დეპარტამენტის და თბილისის პოლიციის დეპარტამენტის 26 თანამშრომელზე (რომლებიც არ წარმოადგენდნენ სამხედრო ან სპეციალური წოდების მქონე პირებს) გაცემულმა სახელფასო დანამატმა ჯამურად 33,326 31, ლარით გადააჭარბა დადგენილ ზღვარს.

რეკომენდაცია

„საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული, შრომის ანაზღაურების მუხლით გასაცემი თანხების ზღვრების მონიტორინგის მიზნით სამინისტრომ უზრუნველყოს შესაბამისი კონტროლის მექანიზმების დანერგვა;

**კომპონენტ(ებ)ი რომლებზეც
გაიცა რეკომენდაცია
შესასრულებლად**

სამინისტრო

**დანამატის
დასაბუთებასთან
დაკავშირებული
ნაკლოვანებები**

„საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით³⁶, სახელფასო დანამატი წარმოადგენს საჯარო დაწესებულებაში დასაქმებული პირის მიერ ზეგანაკვეთური სამუშაოს ან/და დამატებითი ფუნქციების შესრულებისათვის, მათ შორის, ღამის საათებში, დასვენების/უქმე დღეს და ჯანმრთელობისათვის რისკის შემცველ სამუშაო პირობებში საქმიანობისათვის განსაზღვრულ თანხას.

სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებში დასაქმებულ ზოგიერთ თანამშრომელს, 2019 წლის 1 იანვრიდან, წინასწარ, მთელი წლის განმავლობაში, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის შესაბამისი ბრძანებებით, დაენიშნათ ყოველთვიური დანამატი.³⁷ ზეგანაკვეთური სამუშაო რეჟიმი დამახასიათებელია³⁸ სამინისტროს სისტემისთვის, თუმცა ბრძანებით არ იყო დაკონკრეტებული თუ რა სამუშაო ან დამატებითი ფუნქცია უნდა შეესრულებინა კონკრეტულ პირს.

რეკომენდაცია

დანამატის მუხლით გაცემული თანხების გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია სამინისტრომ შეიმუშაოს:

1) ზეგანაკვეთური და დამატებითი ფუნქციების შესრულების მოტივით გასაცემი დანამატების დასაბუთების წესი.

2) დანამატების გაცემა უზრუნველყოს შესაბამისი სამუშაოს შესრულების შემდგომ.

**კომპონენტ(ებ)ი რომლებზეც
გაიცა რეკომენდაცია
შესასრულებლად**

სამინისტრო

³⁶ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი;

³⁷ წლის მანძილზე ჯამურმა თანხამ 7,346,754 ლარი შეადგინა. აღნიშნული თანხები ნაწილდება სამინისტროს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების 2,686 თანამშრომელზე.

³⁸ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლი;

3 ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული კორექტირებები (შეუსწორებელი უზუსტობები)

დებიტორული დავალიანება

აპარატის ბალანსზე არ არის აღრიცხული 2019 წელს ხელშეკრულების პირობების დარღვევისთვის, კომპანიებისთვის³⁹ დაკისრებული ჯარიმის თანხები, ჯამურად 22,778 ლარის ოდენობით⁴⁰. შედეგად, აპარატის ფორმა N1-ში მოთხოვნების ნაშთი შემცირებულად არის წარმოდგენილი 22,778 ლარით და იმავე თანხით შემცირებულია „სხვა შემოსავლების“ მუხლი ფორმა N2-ში.

კომპონენტ(ებ)ი, სადაც გამოვლინდა დარღვევა

აპარატი

მატერიალური მარაგები

აპარატის ბალანსზე 2019 წლის საწყის და საბოლოო ნაშთად, უცვლელად ირიცხება 260,368 ლარის სპეციფიკური დანიშნულების აქტივები, რომლებიც ფაქტობრივად გახარჯული იყო წინა პერიოდში. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით რეაგირება განხორციელდა 2020 წელს.

მომსახურების სააგენტოს ბალანსზე 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „მატერიალური მარაგების“ მუხლზე ირიცხება აგაი სისტემით სამინისტროს ცენტრალური აპარატისთვის 2019 წლის დეკემბერში შესყიდული 2,224,966 ლარის ღირებულების საწვავი, რომელიც ფაქტობრივად გახარჯული იყო 2019 წელს, ხოლო ბუღალტრულად 2020 წელს გატარდა „გრანტების“ მუხლზე. შედეგად, სააგენტოს ფორმა N1-ში მატერიალური მარაგების საბოლოო ნაშთი 2,224,966 ლარით გაზრდილად არის წარმოდგენილი.

კომპონენტ(ებ)ი, სადაც გამოვლინდა დარღვევა

სამინისტროს აპარატი, მომსახურების სააგენტო

ძირითადი აქტივები

აპარატის მიერ ფინანსთა სამინისტროს სსიპ – საფინანსო ანალიტიკური სამსახურისგან 2017 წელს მიღებული 8,818,982 ლარის Microsoft ლიცენზიებიდან, 6,520,132 ლარის ლიცენზიების საბალანსო ღირებულება დარიცხული ცვეთის შედეგად 2019 წლის ბოლოს განულებულია, ხოლო 2,298,851 ლარის ლიცენზიები ნაშთად ირიცხება გრძელვადიან მცირეფასიან აქტივებზე. შედეგად, სამინისტროს ფორმა N1-ში „გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების“ მუხლი გაზრდილად არის წარმოდგენილი 2,298,851 ლარით.⁴¹

საპატრულო პოლიციის ბალანსზე რიცხულ ლიცენზიებზე⁴² დაგროვილი ცვეთის (10%) თანხა 239,225 ლარს შეადგენს. გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნულ არამატერიალურ აქტივებს აქვთ განუსაზღვრელი მომსახურების

³⁹ 15 სხვადასხვა კომპანია

⁴⁰ ინფორმაცია აღრიცხვა-ანგარიშგების სამმართველოს მიეწოდა დავიანებით.

⁴¹ სამინისტროს განმარტებით აღნიშნულ ლიცენზიებზე არ არის გათვალისწინებული მოქმედების ვადა.

⁴² საპატრულო პოლიციისთვის განკუთვნილი სამხრეთ კამერების პროგრამული უზრუნველყოფა.

ვადა, ცვეთის დარიცხვის ნაცვლად, ორგანიზაციამ აქტივები ყოველწლიურად უნდა შეამოწმოს გაუფასურებაზე⁴³.

აპარატის ბალანსზე „მანქანა-დანადგარები და ინვენტარის“ მუხლით რიცხულ ზოგიერთ აქტივზე ამორტიზაციის კოეფიციენტის არასწორად გამოყენების შედეგად, აპარატის ფორმა N1-ში „ძირითადი აქტივების“ საწყისი ნაშთი გაზრდილად არის წარმოდგენილი 581,963 ლარით, ხოლო საბოლოო ნაშთი 254,151 ლარით. ასევე, ფორმა N2-ში „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლი გაზრდილია 144,297 ლარით.

სასაზღვრო პოლიტიკის ბალანსზე რიცხულ გარკვეულ ძირითად აქტივებზე, არ იყო დარიცხული ცვეთა, რის გამოც მხოლოდ 2019 წელს „ძირითადი აქტივების“ საბოლოო ნაშთი გაზრდილად არის წარმოდგენილი 1,648,580 ლარით და იმავე თანხით შემცირებულია „ძირითადი კაპიტალის მოხმარება“ ფორმა N2-ში. 2019 წლის დასაწყისში ბალანსზე ირიცხებოდა 2,327,241 ლარის ძრავები, რომლებზეც ცვეთის კოეფიციენტის განუსაზღვრელობის გამო, არ იყო დარიცხული ცვეთა.

კომპონენტ(ებ)ი, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

სამინისტროს აპარატი, საპატრულო პოლიცია, სასაზღვრო პოლიცია

⁴³ სააღრიცხვო ინსტრუქციის 61-ე მუხლის 1-ლი პუნქტი და 73-ე მუხლის მე-3 პუნქტი;

საკონტაქტო ინფორმაცია

**გაცემული
რეკომენდაციების
შესრულების
მონიტორინგის
პროცესზე
პასუხისმგებელ პირი**

ვახტანგ პერტაია - vpertaia@sao.ge

**სახელმწიფო
აუდიტის სამსახურის
რეკომენდაციების
შესრულების
მონიტორინგის
სისტემა**

<https://aris.sao.ge/>

**ვებგვერდი და
სოციალური მედია**

<https://www.sao.ge/>
<https://www.budgetmonitor.ge/ka>
<http://www.blog.sao.ge/>
<http://www.sai.ge/main/>
<https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/>
<https://www.youtube.com/user/saogeorgia>
<https://www.facebook.com/www.sao.ge>

ცხელი ხაზი

(+995 32) 243 81 81

ელექტრონული ფოსტა

sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, ნმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38